საჯარო სამართლის იურიდიული პირი

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ბრძანება № 151-19317

"22" აპრილი 2019წ.

ქ. თბილისი

სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში 2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ინგლისური ენის ტესტის თხზულების გამსწორებელთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 თებერვლის N93 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის" დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,მ" ქვეპუნტისა და მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ლ1" ქვეპუნტის, აგრეთვე სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის უცხო ენების მიმართულების ჯგუფის უფროსის რუსუდან ტყემალაძის 2019 წლის 22 აპრილის N462876 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

ვბრძანებ:

1. 2019 წლის 24 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით გამოცხადდეს კონკურსი ერთიანი ეროვნული გამოცდების ინგლისური ენის ტესტის თხზულების გამსწორებელთა შესარჩევი კონკურსი 10 გამსწორებლის შერჩევის მიზნით.

2. კონკურსში მონაწილე პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) გააჩნდეს მინიმუმ ხუთი წლის მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება ზოგად ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ბ) გააჩნდეს ტესტური დავალებების შექმნაზე მუშაობის გამოცდილება;

გ)გააჩნდეს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი (B2 ან C1) ან CELTA სერტიფიკატი;

დ) კანდიდატის ოჯახის წევრი არ უნდა აბარებდეს 2019 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებს.

0186 თბილისი, მინდელის ქ. 9
ტელ (+995 32) 2 47 33 33;

3. კონკურსი ჩატარდეს სამ ეტაპად:

ა) პირველ ეტაპი - კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი CV - ების გადარჩევა;

ბ) მეორე ეტაპი - წერითი დავალება - კონკურსის მონაწილეებს ევალებათ დაწერონ მცირე მოცულობის თხზულება. კონკურსის მეორე ეტაპზე გადასული კანდიდატები გაივლიან სპეციალურ ტრენინგს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, სადაც გაეცნობიან თხზულების შეფასების სქემასა და შეფასების კრიტერიუმებს;

გ) მესამე ეტაპი - კონკურსში მონაწილეები შეაფასებენ იმიტირებულ საგამოცდო თხზულებას. მესამე ეტაპი გადალახულად ჩაეთვლებათ იმ კონკურსანტებს, თუ მათ მიერ თხზულების შეფასება ცენტრის მიერ დადგენილი სტანდარტული შეფასების შესაბამისი იქნება.

4. კონკურსში მონაწილეობისათვის კანდიდატმა ცენტრის ელექტრონულ მისამართზე - hr@naec.ge უნდა გამოაგზავნოს:

ა) ავტობიოგრაფია (CV);

ბ) ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაციის განთავსება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.naec.ge).

6. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კანცელარიას ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6) მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დირექტორი **სოფიო გორგოძე**